მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ანგარიში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური უზრუნველყოფს სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მართვას და მათ განხორციელებაზე კონტროლს.

ანგარიში მომზადებულია სოციალური დახმარების სახეების ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით 2020 წლის ხარჯის ანალიზის საფუძველზე. პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მაცხოვრებელი სოციალურად დაუცველი პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, ახალშობილთა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში, უბედური შემთხვევების და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა სოციალური დახმარება, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების და მედიკამენტების ღირებულების დაფარვა. აღსანიშნავია ის, რომ 2020 წლში გაიზარდა მოწყვლადი ჯგუფებისათვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის სოციალურად დაუცველი იმ პირებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 ათას.

2020 წლის განმავლობაში პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 886, 781 ლარი, ხარჯმა კი 870, 882 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,2 პროცენტია, ამ ხარჯებიდან მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტების ღირებულების დაფარვას მოხმარდა 377,4 ლარი ანუ გეგმის 99,5 პროცენტი. პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მიმართულებით ხარჯმა შეადგინა 178,250 ლარი, ანუ გეგმის 99,8 პროცენტი. წლის განმავლობაში ყოველთვიური დახმარებით ისარგებლა53 მრავალშვილიანმა ოჯახმა, რომელთა ოჯახებს ჩაერიცხა 64 ათასი ლარი, ხოლო ახალშობილთა 117 ოჯახმა მიიღო 23 400 ლარი, ყოველთვიური კომუნალური მომსახურებით ისარგებლა 18 წლამდე ასაკის 55 შშმ პირმა, ასევე ყოველთვიურ ფულად დახმარებას თვეში 200 ლარს იღებს ორი დედ-მამით ობოლი ბავშვი, დიალეზზე მყოფი 20 პირი 140 ლარს ტრანსპორტირების ხარჯისთვის, განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის 4 ბენეფიციარი-

თითოული 100 ლარს, ხოლო იშვიათი დაავადებების მკურნალობას დაქვემდებარებული ექვსი ბავშვი თითოეული 300 ლარს, პროგრამის შესაბამისად დაფინანსდა ჰემოფილიით დაავადებული სამი პირი, ასევე ფინანსდება გენდერული ტანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა, რის ხარჯმაც შეადგინა 15,800 ლარი, ხოლო სოციალური პროგრამების და კულტურული საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაიხარჯა 72,536 ლარი, გეგმის 99,9 პროცენტი.

წლის განმავლობაში სამსახურის მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები, შესწავლილი იქნა საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის შესახებ შემოსული განცხადებები, მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი პირობები ერთჯერადი ფულადი შესაძლო დახმარების თაობაზე და ეკომიგრანტი ოჯახები, რომელთაც ჯერ კიდევ არ აქვთ განაცხადი შევსებული შესაბამის უწყებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკომიგრაციის პრევენცია, გარემოს ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციები, რომელიც შეეხება ცალკეული დასახლებული პუნქტების მიხედვით გატარებულ ღონისძიებებს.